საქართველოს რესპუბლიკა

ფასი 50 კაპ.

ფელიეტონი პირველი

მთავრობის მოამბე

ეროვნული გაზეთი

№ 34 ხუთშაბათი. 5 ენკენისთვე 1918 წ. № 34

ამ ნომერში ეძვნი გვერდია

მთავრობის მოამბე ეროვნული გაზეთი
(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებები)

„საქართველოს რესპუბლიკა“

ღირს ერთი თვით **10** მ., ცალკე ნომერი ყველგან **40** კაპ.

საველდებულო განცხადებანი დადგენილი ნიხრით, კერძო განცხადებანი შეთანხმებით.

გაზეთზე ხელის მოწერა მიიღება დილის **10—3** საათამდე.

(ბარონის ქუჩა № 6, ტელეფონი—1—82.

ხვალ, 5 სექტემბერს, დილის 12 საათზე, ვერის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში გადახდილ იქნება ნახევარი წლის პანაშვიდი.

ნიკიფორე მარკოზის ძე კანდელაკის

სულის მოსახსენებლად, რასაც ვაუწყებთ ნათესავთა და ნაცნობთა შვილები: ვლადიმერ, ალექსანდრე, ნიკო, გრიგოლ და ოლღა კანდელაკები და მარბარე გვარჯალაძისა და სიმე კონსტანტინე გვარჯალაძე.

ვაჟთა და ქალთა გიმნაზია

ნ. გ. თევზაძის

უფლებიანი, ახალი ტიპის, 8 კლასის კურსი გაიხსნება წყალწყაროში.

ძველიას ქ., № 11.

ახლანდელ მიიღება ყველა კლასებში. საგნების სწავლება რუსულად. ქართველებისთვის—საქართველოს ისტორია და ლიტერატურა სავალდებულო საგნებია. მაგალითად სადამოობით, მოწაფეები მიიღებიან კანურჩევლად ეროვნებისა და ხნისა მოწმობებით ოსფერ კლასებში, ვისაც მოწმობა არ აქვს—გამოიცდიან. მეტუთე კლასში გამოიცდიან მიიღებენ ის პირნი, რომლებსაც გადაგვებული აქვთ უმაღლეს დაწყებითა სასწავლებელი ან სხვა მეოთხე კურსის სასწავლებელი. გამოცდები და განმეორებითი გამოცდები—26 აგვ. (ახ. სტილით). კანცელარია გაღებულია საღამოს 4—8 ს. გიმნაზია აძლევს მოწაფეებს უფასო სასუნთქ ადგილებს.

ეროვნული შეგდანილობა დაიწყო 2 ენკენისთვიდან.

50—8 გიმნაზიის გამგე ხ. ნ. შუბგინი.

სასურსათო საქმის სამინისტრო

იწვევს პირთ, რომელთაც შეუძლიან მოაწოდონ სამინისტროს რვაასი ათასი (800.000) ფუთი კრისტალური (მარცელოვანი) მარილი. ამის შესახებ მსურველმა უნდა შეიტანოს წერილობითი განცხადება სასურსათო საქმის სამინისტროს კანცელარიაში, არა უგვიანეს ამა წლის 5 სექტემბრისა შუადღის 12 საათისა. განცხადებაში უნდა იყოს აღნიშნული: 1. სახელი, მამის სახელი, გვარი და მისამართი მსურველისა. 2. მარილის ხარისხი და ალაგი მისი შესყიდვისა. 3. დროთ, თუ როდის იქნება შეტანილი მარილი. 4. ფასი „ფრანკოთ ვაგონი“ საქართველოს რკინის გზის. 5. პირობები ფულის გადახდისა. აგრეთვე მიიღება განცხადებები ნაწილობრივ, არა ნაკლებ 100.000 ფუთი მარილის მიწოდების შესახებ. ცნობებს პირობების შესახებ იძლევა სამინისტროს კანცელარიაში მიმწოდებელი განყოფილების უფროსი ადანია.

სასურსათო საქმის მინისტრი ლოგოთეტიანიძე.

3—3 მიმწოდებელი განყოფილების უფროსი ადანია.

5 ენკენისთვეს 1918 წ. იხსნება ახალი ელექტრო-თეატრი

„კინოტიტანიკი“

ჩერქეზიშვილის ქუჩა, № 93.

ჩერდება ტრამვაის ვაგონები: №№ 20, 3, 7, 6 და 11 ნახევალგეგმის.

ახლად გადაკეთებულ შენობაში არის დიდი დარბაზი, საკუთარი ელექტროენის სადგური და გერმანული სისტემის აპარატი „**ია**“. სურათების ჩვენების დროს უკ-ავს პიანისტი მოსკოვის კონსერვატორიისა. ეკრანზე იქნება ნაჩვენები პირველ ხარისხოვანი შინაარსიანი სურათები.

გამგეობა.

არსდება ამხანაგობა სახელწოდებით

„კავკასიის საზოგადოება მანუფაქტირის წარმოებისა“

ძირითადი თანხა 2,500,000 მან. წევრებათ ჩაწერა და აგრეთვე მიწოდება ყოველივე ცნობებისა ხდება გოლოვინის პროსპექტზე № 10 კანტორა „კომერსანტ“ დილ 9 საათ. ნაშუად. 2 საათ. და საღამოს 6—9 საათამდე. პროვინციებში გაიგზავნება საგანგებო პირი, თუ წინასწარ შესაფერი ცნობა მოვა ტელეგრამით მსურველებიდან. 4—3

სიღნაღის მაზრის ეროგის შემომღები კომიტეტი

აცხადებს, რომ მთელს მაზრაში საერთო-საარჩევნები მოხდება ენკენისთვის 15. სულ ასარჩევია 43 ხმოსანი. მაზრა გაყოფილია ხუთ საარჩევნო უბნად და ამარჩეველთა რაოდენობის მიხედვით ასარჩევია: 1) ქვემო მაჩხაანის რაიონში 17 ხმოსანი; 2) ბურჯაანის მხარეს 10 ხმ.; 3) ქოდალოს რაიონში 6 ხმ.; 4) ლაგოდეხის რაიონში 6 ხ. და 5) ქ. სიღნაღში 4 ხ. სახმოსნო კანდიდატების სია უნდა წარმოდგენილ იქმნას ქ. სიღნაღში, მაზრის ერობის შემომდებ კომიტეტში არა უგვიანეს ენკენისთვის 5-სა.

5—5 სიღნაღის მაზრის საერობო კომიტეტი.

ოფიციალური განყოფილება

ბრძანება

საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის შრომის მინისტრისა.

1 ენკენისთვე, 1918 წ. ქ. თბილისი.

№ 7.

შრომის სამინისტროს მდივანი დოლიძე განთავისუფლებულია სამსახურიდან თანახმად თხოვნისა.

შრომის მინისტრის ამხანაგი გ. ერაძე.

ბრძანება

საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის მთავრობისა შინაგან საქმეთა სამინისტროსი.

2 ენკენისთვე, 1918 წ. ქ. თბილისი.

№ 235.

დანიშნულ იქმნა: ელენა გიორგის ასული დიდებულიძე შინაგან საქმეთა სამინისტროს კანცელარიის თავისუფალი ქირით მოხელეთ.

დათხოვნილ იქმნენ: თანმდებობიდან და სამსახურიდან თბილისის გუბერნიის ბორჩალოს მაზრის კომისარი ივანე ანტონის ძე არონინიძე და შინაგან საქმეთა სამინისტროს კანცელარიის თავისუფალი ქირით მოხელე ნადეიდა მიხეილის ასული გრიგორიევა თანახმად მათი თხოვნებისა, მათგან უკანასკნელი 1 ამა ენკენისთვიდან.

შინაგან საქმეთა მინისტრის თანამდ. აღმ. გ. მახარაძე.

არა ოფიციალური განყოფილება.

თბილისი, 5 ენკენისთვე.

რუსეთში რევოლიუციის პირველ ხანაში საბჭოები წარმოადგენდენ რევოლიუციური დემოკრატიის მთავარ ორგანიზაციებს, რომელნიც განსაზღვრულ ლოზუნგების გარშემო აერთიანებედენ ყველა სასიცოცხლო საზოგადოებრივ ძალებს.

ამ ლოზუნგთა შორის პირველი ადგილი ეჭირა სრულიად რუსეთის დამფუძნებელ კრების მოწვევას და მთელი ქვეყნის ბედის მისთვის ჩაბარებას.

მაშინ საბჭოები დემოკრატიის დასაყრდნობი ორგანო, მისი ბასრი რევოლიუციური იარაღი იყო, რომლითაც იკვეთებოდა და იწყლდებოდა გზა დემოკრატიული რესპუბლიკის დამყარებისა და გამტკიცებისაკენ.

საბჭოები თამაშობდნენ რევოლიუციურ-შემაკავშირებელ როლს, ადევნებდენ თვალყურს რევოლიუციის მწყობრ მსვლელობას ყველგან, ებრძოდენ ყოველ მის ხელის შემშლელ პირობებს, მაშასადამე გაურბოდენ სამოქალაქო ომის ატეხას, ვინაიდან ეს მოაწყვეტდა რევოლიუციის დასუსტებას და დემოკრატიის დაშლას. მათ არ უნდა ჰქონებოდათ ხელში სახელმწიფოებრივი ძალა-უფლება და ორგანიზაცია, ასე იყო პირველათ.

მაგრამ ბალშევიკურმა სტიქიონმა დასძლია რევოლიუცია და მისი შემოქმედება.

საბჭოები გამოცხადდა ახალი ტიპის სახელმწიფოდ, რომლის ზევით და რომლის გარეშე სხვა არაფერი სახელმწიფოებრივი ორგანო არ უნდა ყოფილიყო. ერთად-ერთი ფორმა რევოლიუციური მთავრობის არის საბჭოები, რომლებმაც უნდა დასცენ ბურჟუაზიის ბატონობა და შეუდგენ სოციალიზმის დამყარების. ეს იყო ბალშევიკური შეხედულება.

ამის მიხედვით დამფუძნებელი კრების მოწვევა მეტ ბარგათ გამოაცხადეს, რადგან მას შეეძლო შეექმნა ახალი დემოკრატიული სახელმწიფოებრიობა, დემოკრატიული რესპუბლიკა, პარლამენტი, საერთოთ განხორციელებია პროგრამა მინიმუმი, ხოლო დემოკრატიული რესპუბლიკა და პარლამენტარიზმის დამყარება ბურჟუაზიული წყობილების გამგეობა, უკან დახევა და ხელის აღება ეწნებოდა პროლეტარიატს დიქტატურაზე, რომელიც საბჭოებში განსახიერდა და ანხორციელებს პროგრამა მაქსიმუმს.

ბალშევიკების ოქტომბრის აჯანყებამ ძალა-უფლება ლენინს და მის ამხანაგებს ჩაბარა და ამ ნიერათ წარმოიშვა საბჭოთა თვითმპყრობელობა, რომელიც დღეაც არსებობს.

აქ საბჭოები გადაიქცენ რადაც თავისებურ ბალშევიკურ სახელმწიფოდ, რომელმაც უარყო დემოკრატია და მისი იდეალები. საბჭოები დემოკრატიის და საყრდნობ ორგანოდან გადაიქცენ მის სამტრო დაწესებულებად.

დემოკრატია ხალხის მართვა-გამგეო-

ბას და მის ბატონობას მოაწყვეტს. ხოლო ბალშევიკურმა რეჟიმმა უარყო დემოკრატია, როგორც ხალხის ბატონობის და მართვა-გამგეობის პრინციპი. სწორეთ ამიტომ გარეკეს ბალშევიკურმა ჯარის კაცებმა რუსეთის დამფუძნებელი კრება, როგორც ხალხის სრული ნება-სურვილების გამომხატველი და დემოკრატიის მთლიანობის და იდეალების გამოსახულება.

ამნაირათ საბჭოთა თვითმპყრობელობა ანუ ბალშევიკური დიქტატურა გახდა არსებითად უმცირესობის ანტიდემოკრატიული დიქტატურა. ეს არის რუსეთის ცხოვრების უდიდესი წინააღმდეგობა, რომელიც რა თქმა უნდა ლენინის და ხხვა ბალშევიკურ ბელადების მოკლეთ თუ დაპრით არ გაოქმდება.

საჭიროა თვით ხალხმა, დემოკრატიამ აღადგინოს თავისი შელახული უფლებები, რომ ბალშევიზმის ფრაქციული თვითმპყრობელობა გაჰკრეს „ვითა სიხმარი ღამისა''.

ჩვენში საბჭოები შერჩენ თავის პირვანდელ, რევოლიუციის პირველ ჰერიოდში გამოსახულ დანიშნულებას.

ამაც იყო პატარ-პატარა ცდა, ბალშევიზმისებური ზრახვანი, რომ საბჭოები ამცდარიყნენ რევოლიუციონურ ორგანიზაციის გზას და დამზკავსებოდენ სახელმწიფოებრივ დიქტატურას.

მაგრამ ჩვენმა ალღოიანმა და გაწრთვნილმა დემოკრატიამ სწორი პოლიტიკური ხაზი აღო და გადაარჩინა მთელი ხალხი და თავისუფლება ბალშევიკურ განსაცდელს.

რაც ჯავქს დღეს ჩვენ საქართველოში ამ სწორი პოლიტიკის წყალობით გვაქვს. აქ საბჭოები არ დაუპრიდაპირდენ დემოკრატიას და არ ბოიხურეს სახელმწიფოში ცალკე სახელმწიფოდ დარჩენა.

პირ იქით, მათ, მთელი თავის პოლიტიკური ძალა და ორგანიზაციული ძლიერება დაუკავშირეს და დაუმორჩილეს საქართველოს დემოკრატიულ მთავრობას, რომელიც ეროვნულ საბჭოს ნდობა-მოსილებით მოწოდებულია დამოუკიდებლობის განმტკიცებისთვის და სახელმწიფოებრივ შემოქმედებისათვის.

ჩვენ ში ბოლო მოეღო ყოველგვარ მრავალფუფლებიანობას, მრავალ მართველობას და მთელი პოლიტიკური ბრძანებლობა ჩაბარდა საქართველოს ეროვნულ საბჭოს და მის წინაშე პასუხისმგებელ საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას. ჩვენი სახელმწიფოებრივობა უკვე შესდგა წესიერი განვითარების გზაზე, ვარდება თანდათან ნორმალურ კალაპოტში.

დემოკრატია ახლა გამაგრდა სახელმწიფოებრივ დაწესებულებებში და აქ აწარმოებს თავის საალმაშენებლო პოლიტიკას. მას ბევრი საშუშვევარი აქვს.

პირველ ყოვლისა მან უნდა იზრუნოს დამფუძნებელი კრების მოწვევისათვის. ამას ხელს უშლის აქა იქ დარჩენილი ანარქიული არევ-დარევა, რომლის ლიკვიდაცია სულ მალე უნდა მოხდეს. მაგრამ ჩვენ ყოველნაირათ მზად უნდა ვიყოთ დამფუძნებელი კრების მოწვევა არ დავაბანოთ და დემოკრატიული სახელმწიფოს კონსტიტუცია საბოლოოთ მივიღოთ.

მხოლოდ დამფუძნებელი კრება შეასწორებს და მოსპობს იმ უფლებრივ პოლიტიკურ ნაკლს, აუცილებლობით გამოწვეულს, რომელსაც თან ახლავს დღევანდელ ჩვენს წარმომადგენლობითი საკანონმდებელო დაწესებულებას—საქართველოს ეროვნულ საბჭოს, როგორც დროებით პარლამენტს.

იაპონია და მსოფლიო ომი

ჩვენ ვიცით, რომ იაპონია ამ ჟამად ძლიერ სახელმწიფოს წარმოადგენს, რომელსაც ახალ-ალ თვითმფლობელ [illegible] ამერიკული სიჩქარით განვითარება ვაკვირვებ-ბრეულვალისა.

ამნაირთა პირობებში მყოფი სახელმწიფო, ჩვეულებრივ, თავის ძველ ქერქში, ძველ სახელმწიფო საზღვრებში ვეღარ ეტევა, მას აქვს მტაცეც სურვილი უძლეველ სახელმწიფოს შემქმნელობა მიმართული და სკდილოს ეს სურვილი განახორციელოს უმთავრესად სამხედრო ძალის საშუალებით. აქ არც სამართლიანობას, არც სხვა რაიმე ჰუმანიურ აზრებს ადგილი არა აქვს. ძლიერი სახელმწიფო საზოგადოთ ასაბუთებს საზღვრების გაფართოების სურვილს ამა თუ იმ ზოგადი მიზეზებით, მხოლოდ ნამდვილად კი მას ამომქმედებს მარტოოდენ ეგოისტური თვისების სულისკვეთება.

რამდენათ უფრო შეგნებულია ერი, იმდენათ მისი პოლიტიკა უფრო რეალურ ნიადაგს ეძყარება და თავის შჩქეფარე, ენერგიულ ძალას ამგვარად მომწიფებული ერი დიდი სიფრთხილით და წინდახედვით ხმარობს.

ეს გარემოება ერთ წამსაც არ უნდა დავიეიწყოთ, როცა ჩვენ იაპონიის ამ ომში მონაწილეობაზე გვაქვს ლაპარაკი.

იაპონიის რეალური ინტერესები მოითხოვენ ვერმანიის ციხის ცინდაოს აღებას და მან კიდეკვაც მიიღო აქტიური მონაწილეობა ამ მიზნის მისაღწევად.

გარდააქცია რა ეს ციხე თავის საზხედრო ბაზათ და ამნაირად მიაღწია რა მას, რომ ზორეულ აღმოსავლეთში და ჩინეთშიაც ის გახდა ნამდვილი ბატონი, იაპონია სტოვებს თავის აქტივობას და ზორიდან უცქერის ოთხი წლის განმავლობაში ამ კაცობრიობის უდიდეს დრამას, რადგანაც მან იცის, რომ მისი რეალური სახელმწიფოებრივი ინტერესები უფრო უზრუნველყოფილი იქნებიან მაშინ, როდესაც ევროპის სახელმწიფოები ერთერთ ბრძოლის დროს სისხლისგან დაიწურებიან და დაუძლურდებიან.

იაპონიამ კარგად შეიგნო აგრეთვე ისიც, რომ ჩინეთი, თუმცა ამ უკანასკნელს მასთან ბევრი სადაო საკითხები აქვს, ევროპასთან ბრძოლის დროს იაპონის მხარეზე დადგება. ამიტომ იაპონია თანდათან უახლოვდება ჩინეთს და მასთან კავშირი ერთი ორად მაინც უფრო ძლიერდება. იაპონიას დიდ სასარგებლოდ მიაჩნია აგრეთვე ისიც, რომ ევროპის დაუძლურებასთან ერთად ითესება ევროპის სახელმწიფოთა შორის შუღლიანების თესლი, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში არ მისცემს მათ საშუალებას, რათა ისინი შეერთდენ ერთ რომელიმე საერთო მტრის, ამ შემთხვევაში ყვითელი რასის წინააღმდეგ საბრძოლველად. ერთი გარემოება აწუხებდა დიდათ იაპონიას. ეს გახლდათ ჩრდილო-ამერიკის შეერთებული შტატების დაგვიანება ამ ომში მონაწილეობის მისაღებად და ჩასარევათ, ამერიკის დიდ რესპუბლიკასთან საბრძოლველად იაპონია დიდი ხანია რაც ემზადება.

ამიტომ ამერიკის დასუსტებაც იაპონიის დიპლომატიისათვის დიდმნიშვნელოვან მორიგ საკითხს შეადგენდა და შეადგენს. ამ ჟამად კი, როდესაც ყველა მისი პოლიტიკური მტერი სისხლისგან იცლება, იაპონია უდიდესად დაინტერესებულია ომის გაგრძელებაში.

აქედან ნათელი თავად ცხადია, რომ იაპონია აქტიურ მონაწილეობას არ ჩქარობს, ამაში ის არც არის დაინტერესებული, და ვინ იცის შეიძლება ახლანდელ მსოფლიო ბრძოლაში არ მიიღოს აქტიური მონაწილეობა. ომის გაგრძელების წინააღმდეგი მას არაფერი აქვს.

ამავე დროს ის შინ ეემზადება, რომ შესაფერი შემთხვევა არ გამოუშვას და ზავის ჩამოგდების დროს ან უფრო ადრეც თავის სახელმწიფოებრივი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება შესაძლებელ ჰყოს.

მაგრამ საკითხია, რა შეადგენს იაპონიის ამთავარს და უახლოეს მოთხოვნილებას.

ამ კითხვაზე პასუხი მოკლეთ შეიძლება მოიცრას.

იაპონიას აუცილებლად უნდა ზორეულ აღმოსავლეთში თავის ეხლანდელი ბატონობა საბოლოოდ განამტკიცოს, რაც მისცემს მას საშუალებას უფრო დიდ საშიშროებისა ენერგიულად შეუდგეს. ეს საშიშროები ამერიკის ჩრდილოეთ ნაწილი მიმართული და შეიძლება სულ ცოტა დროა საჭირო, რომ ჩვენ შეკვეთენთ მოწმენი დიდ წყნარ ოკეანეზე უდიდესი საზღვარ ბრძოლისა.

ბ.

საუბარი ა. მ ტობჩიბაშევთან.

ამ ჟამად თბილისში იმყოფება აღერბეიჯანის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი ბ. ალი მარდან-ბეგ ტობჩიბაშევი, რომელიც ყველა იმ დიდ პოლიტიკურ დამოუკიდებულებათა გამოსარკვევად და მოსაწესრიგებლათ, რომელნიც არსებობენ ოთხთა კავშირის და აღერბეიჯანის და აგრეთვე ოვიეე აღერბეიჯანის და საქართველოს და არარატის რესპუბლიკის შორის.

ამნაირად ბ. ტობჩიბაშევის ხელმძღვანელობით აწარმოებს აღერბეიჯანი თავის პოლიტიკას ბერლინის, ვენის, სტამბოლის, სოფიის, თბილისის და ერევნის მთავრობათა წინაშე, რის გამო მის სტუდენტს, რომელნიც მან წარმოსთქვა ჩვენი გაზეთის თანამშრომელთან ბაასის დროს, განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევა.

აღერბეიჯანი და საქართველო.

ჩვენ და საქართველოს შორის დამოკიდებულება თან და თან ირკვევა, განაცხადა ბ. ტობჩიბაშევმა, და ეს დამოკიდებულება, რასაკვირველია, მხოლოდ კეთილ-მეზობლური და ღრმა მეგობრული ხასიათისაა ისე, როგორც ეს წინეთ იყო. ქართველ საზოგადოებას და საზოგადო და პოლიტიკურ მოღვაწეთ კარგათ მოეხსენებათ, რომ ამ აზრის ვადეკი მუდამ წინეთ და ეხლაც ღრმათ ვარ დარწმუნებული, რომ ამ ორ მეზობელ შორის სხვა გვარ დამოკიდებულებას ადგილი არ უნდა ექნეს. დიდი სიამოვნებით აღვნიშნავ იმ გარემოებას, რომ ჩვენ და საქართველოს რესპუბლიკის შორის იმისთანა დიდ საკითხებში, როგორიც არიან საკითხები ბონების და არბიტრაჟის შესახებ, შეთანხმება უკვე მოხდა, რაც, რასაკვირველია, სხვა ნაირად არც შეიძლებოდა წარმოგვედგინა...

ტრანზიტნის სარსული და სტამბოლის მიმავალი კონფერენციები.

უნდა იქმნას გულახდილად ნათქვამი, რომ ტრანზიტნის კონფერენციის ოთხ მოხდა დიდი შეცდომა, რომლის გასწორება აუცილებლად მიმაჩნია. ამ კონფერენციაზე არ იყო ნაოლათ წარმოდგენილი და განმარტებული ის თუ რა შედეგი მოჰყვებოდა იმ პოლიტიკურ ნაბიჯს, რომელიც შეუთაკეოფდა საქართველოს მის ტერიტორიის ჩამოგლეჯით. სრული იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ სტამბოლის კონფერენციაზე, რომელიც, ჩემი ცნობათ, თუმცა ჯერ არ დაწყებული, მაგრამ ახლო მომავალში შესდგება, ეს შეცდომა ეხლა გასწორდეს. არ მაქვს სრულიად განზრახვა გავაზვიადო პრიადი ფაქტორის მნიშვნელობა, დაასრულა ბაასი ამ საკითხის შესახებ ბ. ტობჩიბაშევმა, მაგრამ ჩემი აქაური მეგობრები მარწმუნებენ, რომ შეიძლება ეს შეცდომა თავიდან აგვეცილებია, რომ საწყალება გვქონნოდა იმ ჟამად ტრანზიტნის კონფერენციას დაფრიბოდით.

ოსმალეთი და აღერბეიჯანი.

ხმები იმის შესახებ, ვითომც ოსმალეთი იყოს დღეს მბრძანებელი ბატონი აღერბეიჯანისა და ვითომც ეს უკანასკნელი, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო, აღარც კი არსებობდეს, სულიად არ შეეფერება სინამდვილეს. ჩვენ, როგორც ეს ყველამ იცის, არ გვყავდა რეგულიარული ჯარი ამ სტატუის იმ მნიშვნელობით, როგორც ეს იყო მაგალითად საქართველოში. ამიტომ ჩვენ დაუთმეთ მხოლოდ რკინის გზის დაცვის საქმე ოსმალეთს, რომელიც ამ დახმარებას გაგვიწევეს მხოლოდ ამ დრამდე, სანამ ამას აღერბეიჯანის საერთო პოლიტიკური გარემოება მოითხოვს, ჯოლიდ ჩვენ სხვა რომელიმე შინაურ საქმეთა არეკვას. ოსმალეთის მხრით, რომელსაც აღერბეიჯანის რესპუბლიკის, როგორც დამოუკიდებელი სუვერენული სახელმწიფოს უფლები შეეხება, დღემდე არ ჰქონია და არც შემდეგში ექნება აღგილი.

ჩრდილო კავკასიის მუსულმანები.

ამ კითხვის შესახებ მხოლოდ ის ითქმის, რომ ჩრდილო კავკასიის მუსულმანები შეადგენენ, უთუოდ, ერ მეცხოვრე მუსულმანების დამოუკიდებელ სახელმწიფოთა კავშირს. ამას მოითხოვენ იქაური მუსულმანები და, უნდა ვიფიქროთ, კიდევაც მიაღწევენ თავის მიზანს.

ბაქოს ფრონტი.

ბაქოდან მე სამ კვირაზე მეტია რაც წამოვედი და ამიტომ არ მაქვს საშუალება ჩემი აზრი გაუზიარო საზოგადოებას მის ეხლანდელ შინაურ ცხოვრების შესახებ. მხოლოდ ერთი კი გადაპრით ითქმის: მე მაქვს სახეში ის, რომ ბაქოს აღების დრო სულ ახლო მოსალოდ საქმეა. ოსმალეთის ჯარი ისე არტყია ბაქოს ბაქოს და იმ სიმორეზე სდგას მასზე, რომ თუ არა ქალაქის დანგრევის და ნავთის წყაროების განადგურების შიში, სხვა არაფერი მიზეზი არ არსებობს მისი აღების დაგვიანებისათვის.

პრესის მიმოხილვა.

ამერიკაკავკასიის ქალაქია კავშირის ყრილობის შესახებ, რომელიც უნდა გაიხსნას თბილისში, „ერთობა" სამართლიანად სწერს:

„ჩვენ დიდი მოწონ ვართ შეერთების, გაერთიანებული მუშაობის, შეთანხმებით სამეურნეო და სახოგადოებრივ საქალაქო საქმეთა მოწყობის, მაგრამ ამ ჟამად ეჭვი გვეპადება, [illegible] შეერთების შესაძლებლობაზე.

გარდა იმისა, რომ დღეს დღეობით პოლიტიკური ატმოსფერა სამ მეზობელ სახელმწიფოებ შორის გაშშენდილი არაა, მათი პოლიტიკური ფიზიონომია, მისწრაფება მიდრეკილებანი სხვა და სხვა გზით მიმართ

ენენ. და ეს კი არ შეიძლება დიდ დამაბრკოლებელ მიზეზათ არ დარჩეს ქალაქთა ინტერნაციონალურ შეერთებისათვის.

საერთაშორისო კავშირს სხვა მიზეზები და კონსტრუქცია აქვს, ვინმემ შინაგან, ერთ სახელმწიფოს ფარგლებში მყოფ თვითმართველობათა კავშირს. ■

მხოლოდ ბრმას, ან გარეშე მიზნებით გატაცებულს შეუძლია იფიქროს, რომ ქალაქები არსებითად მოაბრუნებენ სახელმწიფოებრივ გაერთიანების მოწყობას, თუ პოლიტიკური ინტერესი ამ სახელმწიფოებისა არ ეეუბება ერთმანეთს.

დემოკრატიული საქართველო, დაშნაკცუთა სომხეთი და ბეგების აღერბეიჯანი—ჩვენ ვლაპარაკობთ ოფიციალურ სახელმწიფოებზე—ამ მხრით მეტად ჭრელ ნიადაგ წარმოგვენენ.

ჩვენ პირველ და აუცილებელ საჭიროებათ მიგვაჩნია სახელმწიფოს შიგნი ყველა თვითმართველობანი შეკავშირება, რომელსაც შეძლება ექნება თვითმართველობის იურიდიულ და ეკონომიურ არსებობის პირობებზე გაუმჯობესებას ხელი შეუწყოს. მაგრამ ამა ოდნავადაც არ გვინდა ხელი ვკრათ სახელმწიფოთაშორისო კავშირს. იგი შეიძლება ეს სასურველიცაა, რამდენადაც საერთო ენა და საერთო სამოქმედო პირობები გამოიძებნება. ჩვენ ასეთ კავშირსაც დიდ მნიშვნელობას ვაძლევთ, მარა არა პოლიტიკურს. ბალოლობ იქნებოდა გვეფიქრა, რომ თვითმართველობათა ეკონომიური და სხვა კავშირი გახდება საძირკველად სახელმწიფოთა გაერთიანებისა.

ქალაქებისთვის საკმარისია თავის თვითმმართველობის საქმეების მოწესრიგება და ამ მხრით სარგებლობის მოტანა. გაერთიანება სახელმწიფოებისა კი შეიძლება მოხდეს—თუ იარაღით დაპყრობას არ მივიღებთ მხედველობაში, მხოლოდ პოლიტიკურ და სახელმწიფოებრივ ინტერესთა სოლიდარობით.

ეს კი არის საკითხი ყველა მეზობელ სახელმწიფოთა დემოკრატიისა თუ იგინი გამდებნენ ყველა სახელმწიფოში მატონი თავის ბედისა—გაერთიანებასაც ამა თუ იმ სახით—წინ არაფერი დაუდგება.

ამ რიგათ ქალაქთა კავშირმა უნდა ხაზი გაუსვას თავის სამოქმედო ასპარეზს და იგი შეჭნილ პოლიტიკურ პირობებს შეუფარდოს. მხოლოდ ამით მოიტანს ყრილობა ნამდვილ, რეალურ და არა ყველა ახლად აღმოცენებულ სახელმწიფოებისთვის ოპოზიციაში ჩადგომით და გარეშე სახელმწიფოს ქვეშ გაერთიანებისკენ მისწრაფებით.

* * *

ოსმალეთის მთავრობის მანიფესტს, რომლითაც იგი აცნობებს ცენტრალურ სახელმწიფოებს, რომ ყარსის, არტაანის და ბათუმის ოლქების მცხოვრებლებმა სურვილი განცხადეს ჩვენს სახელმწიფოსთან შეერთებისაო, ვერასოდეს ვერ შეურიგდება ქართველი ერის და დემოკრატიის გონება. ვერ შეურიგდება იმიტომ, რომ ისეთ წესით მომზდარი რეფერენდუმი, როგორიც მოახდინა ოსმალეთმა ყველასათვის მიუღებელია. თავის დროზე ჩვენმა მთავრობამ და გერმანიაში მყოფ საზეიმო დელეგაციამ ამ მანიფესტის გამო სასტიკი პროტესტი განაცხადეს.

ამავე მანიფესტს ეხე-და ახალი უპარტიოთა გაზეთი „გრუზია".

„ოსმალეთმა ძალით ჩამოგლეჯილ პროვინციებში უგვანოდ შეთითხნილი პლებისციტი მოახდინა და ეხლა აცხადებს, რომ ერთებს საქართველოს ტერიტორიის ძველ ნაწილებს.

ასეთ აქტებს ჩვენთვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვთ.

ვიდრე საქართველოში იცხოვრებს უკანასკნელი ქართველი, საქართველო არ შეურიგდება ამ ადგილების დაკარგვას. ჯერ კიდევ არ არის დაგვიანებული. კონფერენცია წინ გვიდევს და ოსმალეთმა ანგარიში [illegible]

ეს ოლქები საქართველოს ნებით უნდა დაბრუნონ.

ამას მოითხოვენ თვით ოსმალეთის ინტერესები".

უკანასკნელად მიღებული ცნობა ლენინის მძიმედ დაჭრის შესახებ დიდ ყურადღებას ჰპოებს ადგილობრივ პრესაში.

„ტრუდოვოე ზნამია" ამ ტერორისტულ აქტის შესახებ სწერს:

„ჩვენ არა გვიხარიან-რა და არც არას ვეიტხავთ. ლენინის დაჭრა დიდი პოლიტიკურ მნიშვნელობის აქტია და ძნელია ამ ჟამად იმის წინასწარმეტყველება, თუ რა საბოლოო შედეგი მოჰყვება მას. მახლობელ შედეგად კი ამ აქტს მოჰყვება უსასტიკესი სახელმწიფოებრივი ტერორი ბოლშევიკების მხრივ. კრეტინურ დაენენებით ისინი ყველაფერს ბურჟუაზიას აწერენ და ამ აქტში ინგლისის საკრებულო სახლის მონაწილეობასაც კი ჰხედავენ. მოსისხლე ოინბაზები ახალ საშინელებით იმუქრებიან, მაგრამ ჩვენ გვწამს, რომ ამთ დასასრული მოახლოვდა, მათ შემდეგ დაიწყება რუსეთის აღორძინება.

ამავე ამბავს ეხება ქართველ სოციალისტ-რევოლიუციონერთა ორგანო „შრომა", რომელსაც ამ აქტის შემდეგ ერთობ „საშინელი პერსპექტივა" ეხატება:

„როგორც სჩანს რუსეთის ინტელიგენციის ბრწყინვალე ისტორიაში იწყება შავი სტრიქონები: შურის ძიება და ტერორი. სისხლში დასამარებენ თავისუფალ რუსეთს.

ეროვნული საბჭო

საშუალათი, მარიანოგზისთვის 6. სხდომა 30-27-ი. თბილისი, სასახლე.

თ ა მ ჯ დ ო მ ა რ ე. სიტყვა ეკუთვნის საბჭოს წევრ. ივ. გობეჩია.

ივ. გ ო ბ ე ჩ ი ა. (ს. რ.) სოციალისტ-რევოლუციონერების აზრით საერობო არჩევნები უნდა გადავლენდეს. ჩვენც ვგრძნობთ, ვიცით, რომ საერობო დებულება ძრ არის უნაკლულო. ბევრი შესწორება შეიძლებოდა შეგვეტანა, რომ გვქონდეს ამისთვის თავები და წესები. მიუჯდებოდით და შევიმუშავებდით ამ კანონ-პროექტს.

მაგრამ სწორედ, რომ არ იცდის ანარქია. სწორედ რომ ჩვენი მდგომარეობა მოითხოვს დაუყოვნებლივ მოეწყოს თვითმმართველობანი სოფლად.

თქვენ წარმოიდგინეთ რუსეთშიც ასე ლაპარაკობენ ჯერ დამფუძნებელი კრების მოწვევა ნაადრეადაო და როცა შეიკრიბნენ მაშინ კიდევ კრება გარეკილ იქნნა ბოლშევიკების მიერ.

შესაძლებელია ჩვენც ასე მოგვეიდეს.

მიზეზი ანარქიისა ის არის, რომ ადგილობრივ ვერ მოგვიწყვია ჩვენი საქმეები.

ყოველად შეუძლებელია ცენტრიდან მოეწყოს: გზები, სკოლები, საავადმყოფოები და ყოველივე ის, რაც ასე საჭიროა დღეს სოფლისათვის.

სახელმწიფოს ხარჯი უნდა. სოფელმა უნდა იცოდეს ეს ხარჯი.

აქ შეეხნენ აღმასრულებელ კომიტეტებს. ილაპარაკეს მათ წინაღმდეგ: აღმასრულებელი კომიტეტი—რევოლუციის წარმომადგენელია და რევოლუციას ემსახურებოდა. მათ პირნათლად შეასრულეს თავიანთი დიდი როლი და დანიშნულება წინაშე ხალხისა და რევოლუციის მონაპოვართა გამტკიცების საქმეში. და თუ ეხლა დაკარგეს გავლენა, ეს იმიტომ, რომ რეკოლიუციურ მონაპოვართა გამტკიცება ოპეკას არ ითხოვს. ეხლა მაზრა მოითხოვს სულ სხვა სამაზრო ერობის მეშობას. სოფელი როცა ერობა უკვე ფეტენდ იქცეა და ხალხი შეიგნებს ამის ანიშნელობას იმდენ თანხას გაიღებს, რომ შესაძლებელი იქმნება წესიერი ცხოვრების მოწყობა, ანარქიის მოსპობა. ჩვენ გვეუბნებიან, რომ ეს საერობო დებულება ნაჩქარევი არისო, რომ შეგვიძლიან გადავშნეყოთო და სხვა—ეს მართალი არის, მაგრამ მე მიკვირს როდესაც ეროვნულ დემოკრატიული ფრაქცია ამას ამტკიცებს. ერთი თვალსაჩინო წევრი ეროვნულ დემოკრატიულ პარტიისა ამ ერთი თვის წინად ბრძანებას გზავნიდა სოფლად მხურვალე მონაწილეობა მიიღეთ ერობის არჩევნების მოწყობაში და ჩქარა მოაწყეთ ერობაო. და აი ეხლა ამავე ჯგუფიდან გამოდის საბჭოს წევრი და აცხადებს, რომ ერობა ნაჩქარევი არისო. სჩანს რომ მაშინ საკერობო მიაჩნდათ ერობის შემოლება და დღეს კი რაღაც მიზეზების გამო წინააღმდეგნი არიან მის შემოღებისა და მოითხოვენ არჩევნების გადადებას.

ამას გარდა როცა სიწყნარე დამყარდება, სრული სიმშვიდე იქნება მაშინ, შეიძლება კიდევ შეკითხვა შემოტანონ, საჭირო არის თუ არა სამაზრო საერობო თვითმართველობა, გავიაქმეთო.

უნდა მოგახსენოთ, რომ სწორედ ამ სიწყნარის დასამყარებლად არის საჭირო ერობის შემოღება. აქ მიუთითეს იმ გარემოებაზე, რომ ეხლანდელი საარჩევნო წესი არ იძლევა იმის გარანტიას, რომ არეული იქნებიან ის პირნი, რომლებიც გაკეთებენ საერობო საქმეს.

საკვირველია, როდესაც სწენობენ ყველა სისტემაზე პროგრესიულ და დემოკრატიულ სისტემას. ამას სჩადის სწორედ ის ჯგუფი, რომელიც 1916 წელს საერობო თათბირზე მბარს უქერდა 80-ან წლების ერობის შემოღებას. მაშინ ალბად ეს ჯგუფი ამას იკეადა თავად აზნაურთა სასარგებლოთ. რაც უნდა ნაკლები იყვეს ამერიკა-კავკასიის სეიმის მიერ მიღებული დებულებანი შესახებ საერობო დაწესებულებათა ამიერკავკასიაში და სასოფლო სამაზრო და საგუბერნიო საერობო ხმოსნების არჩევნისა, მაინც ეს არჩევნები უნდა მოხდეს. ასე თუ ისე მაზრის სათავეში უნდა ჩადგნენ ისეთი პირები, რომლებიც თვით გაუძღვებიან ადგილობრივ საქმეებს.

აქ სთქვეს, რომ ეხლანდელი სისტემა არჩევნებისა არ არის დამაკმაყოფილებელი, იმიტომ რომ არჩევნებში პარტიულ სიებით გამოვიდვართ და სულეთესო პირები საერობო საქმეებისათვის მიუზადებელი ერობის გარეშე რჩებიან.

ეს ტყუილია. თუ კი სასარგებლო პირები უპარტიონი არიან და მათ მოითხოვეს საერობო საქმეებში მონაწილეობის მიღება მათ შეუძლიანნი უპარტიო სიით გამოვიდნენ. მაგრამ ის კი, რომ „უკარძლოო პოლიტიკურ პარტიის თვის სიით გამოვიდეს-ეს შეუძლებელია. ასეთი პრეკენდენტი დემოკრატიულ სახელმწიფოში არ ყოფილა.

რაკი ყოველ უპარტიო ჯგუფს შეუძლიან არ შეურთდეს არც ერთ პოლიტიკურ პარტიას და ცალკე საარჩევნო სიით გამოვიდეს—მე დარწმუნებული ვარ, თუ ხალხი დარწმუნებულია რომ სწორედ ამ უპარტიო ჯგუფის მიერ წარმოდგენილ სიაში აღნიშნულ პირებს შეუძლიანთ მოაგვარონ საერობო საქმეები—ხმას უეჭველად მათ სიას მისცემს. მაგრამ თუ ხალხმა მათ ხმა არ მისცა, არავინ გაიკვანძა. მათგან, მაშინ ჩვენის ღრმა რწმენით, ხალხს უნდა მივანდოთ თავისი ბედი.

აი მოკლედ ის დებულებანი, რომელთა აღნიშვნა მინდოდა. მე აქ ჩვენი ფრაქციის სახელით, სავსებით ვეთანხმებით თვით-მმართველობის კომისიის დადგენილებას, რომელიც უარჰყოფს ეროვნულ დემოკრატების წინადადებას.

თ ა მ ჯ დ ო მ ა რ ე. სიტყვა ეკუთვნის საბჭოს წევრს რაფდენ არსენიძეს.

რ. არსენიძე. (ს.-დ.) მოქალაქენო! მე ყოველ შემთხვევაში ბოდიში უნდა მოვიხადო საბჭოს წინაშე, რომ ასეთ უმნიშვნელო რაღაზე უნდა შევეჩერო თქვენი ყურადღება, მაგრამ ხანდისხან თვით უნიშნეველო ფაქტის აღნიშვნაც საჭიროა. ეროვნულ-დემოკრატებს შემოუტანიათ წინადადება, როდესაც თითონ საკანონმდებლო წინადადებას უწოდებენ, თუმცა უნდა მოგახსენოთ, რომ მას სამისო ნიშნეველიც არა სცხია. განვიხილოთ ეს საკანონმდებლო წინადადება, რომელიც წარმოდგენა ჩვენმა ერთად-ერთმა სახელმწიფოებრივმა პარტიამ. პირველი მეხლი ამ წინადადებისა ამბობს: დაევალოს მთავრობას ანარქიის გამო დროებით საერობო არჩევნების გადადებაო. ეს მეხლი თუ იგი საკანონმდებლო წინადადების მეხლად ჩაითვლება, უნდა ეხებოდეს პირდაპირ აღმასრულებელს ამ მეხლისას. ასე, გამოთქმა კი, რომ „დაევალოს მთავრობასო" თითქოს მას კიდევ ვიღაცამ უნდა დაავალოს და არა პარლამენტმა—ხომ მიუღებელია. არც ის შეიძლება, რომ პარლამენტმა დაავანონოს: „საერობო არჩევნები ანარქიის მოსპობამდე არის გადადებულიო". მაგრამ ეს კიდევ არაფერი, ვნახოთ ახლა მეორე მეხლი.

მეორე მეხლი ამბობს: დაევალოს თვითმმართველობის კომისიას გადასინჯვა და შესწორება ამერიკავკასიის კომისარიატის მიერ დამტკიცებულ დებულებათა, შესახებ საერობო დაწესებულებათა ამიერკავკასიაში და სასოფლო, სამაზრო და საგუბერნიო საერობო ხმოსნების არჩევისა. ეს მეხლი უნდა განიხილოს თვითმართველობის კომისიამ და დაადგინოს: შენი პირიმე დამავალეთ, რომ როგორმე დამავალოს ამერიკავკასიის კომისარიატის მიერ მიღებულ და დამტკიცებულ საარჩევნო დებულების გადასინჯვა და შესწორებაო. ინ თქვენ ბრძანეთ განა შესაძლებელია ასეთი საკანონმდებლო წესის მიღებაზ? ხომ არსებობს წესი ჩვენს პარლამენტში, რომლითაც ჩვენ კანონებში ამა თუ იმ დადგენილებას, ან თუ რისიმე დაკანონება გვსურს აქანა უნდა დავაკანონნოთ და ამას ნამდვილ კანონის სახე უნდა მივცეთ.

მე კიდევ ბოდიშს მოვიხდი, რომ ასეთ უმნიშვნელო ფაქტზე შევჩერე თქვენი ყურადღება, მაგრამ რა უყოთ როდესაც ჩვენში ერთად-ერთი სახელმწიფოებრივი პარტიაა და ასეთი არა სახელმწიფოებრივი საკანონმდებლო წინადადება შემოაქვს. ეს არ შეეფერება ჩვენს საბჭოს. ეს არის თავის-თავის სასაცილოდ გდება.

რაც შეეხება იმ დიდ ლექციას, რომელიც წაიკითხა აქ საბჭოს წევრმა ბატონმა ასათიანმა—მე არაფერს მოგახსენებთ. ის ბევრი იყო მეცნიერული და ბევრიც არა მეცნიერული. მან თავის სიტყვაში ბევრი ისეთი კითხვა აღძრა, რომელიც საბოლოოდ არ არის გადაჭრილი, მაგალითად, როგორი სისტემა უნდა იყოს არჩევნებისა—პროპორციით თუ პერსონალური, საჭიროა ცენზი თუ არა და სხვ. ამიტომაც მე ვფიქრობ, რომ კარგად მოიქცა პრეზიდიუმი, როდესაც მან ეროვნულ-დემოკრატების ეს საკანონმდებლო წინადადება გადასცა თვითმართველობის კომისიას, როგორც მასალა. ეს უბრალო მასალაა იმის დასამტკიცებლად თუ როგორ მოღვაწეობენ ჩვენში პოლიტიკური პარტიები. მას სხვა არაფერი მნიშვნელობა არა აქვს.

თ ა მ ჯ დ ო მ ა რ ე. სიტყვა ეკუთვნის საბჭოს წევრს დავ. ჩიქოვანს.

დავ. ჩ ი ქ ო ვ ა ნ ი. (რად.-დემ.) ბატონებო! საერობო არჩევნების გადადების მოთხოვნა ნორმალურ პირობებში მართლაც ბოროტება იქნებოდა, მაგრამ დღეს არის განსაკუთრებული პირობები და ეს პირობები მოითხოვენ ახგარშის გაწევას.

მე არ შევეხები იმ ფორმალობას, რომელიც არსენიძემ ახგა.

მაგრამ საკითხი საბჭოს წინაშე კოსკრეტულად დასმულია და მე საჭიროდ მიმაჩნია ჩვენი მეგზეულება გამოვსთქვათ ამ საკითხის შესახებ.

დღევანდელ პირობებში აუცილებელია საერობო არჩევნების გადადება.

აქ ბატონმა ასათიანმა მოიყვანა საბუთი მოიყვანა იქის სასარგებლოდ, რომ აუცილებელია საერობო არჩევნების გადადება.

მე შევეხები ძმოლოდ იმ მოსაზრებას, რომელიც მოჰყავს ადგილობრივ მართველობის და თვითმართველობის კომისიის წარმომადგენელს. მოსმენილ ელლა განაცხადა კომისიის აზრი. ძმ სთქვა, რომ ერობის მემოღება საჭიროა ანარქიის მოსასპობადო, ახარქია მძეგმეთარეს და ამიტომ უნდა მეძოვიღოთ ერობა, მაგრამ თუ ერობა მოსპობს ანარქიას არ ვიცი და ამაში ხება მიბმიდეთ ეკვი მეძოვეტახოთ.

მაგრამ ეროს, ეროი საკითხი, რომელიც წესიერად გადაწყვეტილს მართალ მეუძლიან მოსპოს ანარქია. ეს საკითხი ერის მიწის საკითხი. სანამ გლეხკაცი არ არის დაკმაყოფილებული მეუძლებელი ეროობის მემოღებაზ. სოფლად უკმაყოფილების, ანარქიის მოსპობა. სოფლად ორავითარი ეროობა ეროობა და გაგვეკეთა ეროობის შესახებ. გლეხკაცს წარმოდგენაც არა აქვს ეროობაზე. და აქ რომ სთქვეს სოფელი მოითხოვეს ეროობასო არ არის მართალი (რ. ივანიცკი: არსენიძეს მაგრე არ ჰგონია).

ეი აქ რომ ეთქვათ: ანარქიის მოსასპობად მიწის ოეფოოთის გამბორკელება აუცილებელიაო, ეს მისაღები იქნებეა.

რაც შეეხება ეროობას, იგი ჩვეს ნორმალურ პეროობებში უნდა მემოვეღოთ.

მე არ მეკვიდები იმას, მეეფეერება თუ არა ეს ეროობა ჩვეს სოფელს, მაგრამ შეიძლება ეს ერთი ექსპერიმენტი კიდევ უნდა გადაიტანოს ჩვენმა ხალხმა, ეიგოოა ჩვეს ან შეგვიძლიან იმ ეროობეა. თქვენ იცით რომ საერთო ძოოითად ფეტენდეებება ამეიერკავკასიაში საეროობო დაწესებულებათა და სასოფლო, სამაზრო და საგუბერნიო საეროობო ხმოსებეის აეერჩევნის შესახებ — ძოამეკვა ალოსკვეოი განხარტეება. დღეს რომელი განხარტეებას უნდა გაეეწოოს ახგარიშში, რომელი დეეულეკანა საგალდებულო ალლახმა უწყნს. ეს ხოდ ვიცეთ, რომ ჩვენ საერთოდ ძიეებული წესდება არა გვაქს ის რაც ბრძანდა გოეეეიან, რომ შეუძლიან რომელიმე ჯგუფს პეროსონალურად გაიეკანოს რომელიმე პირი თავის სიიანნ—დღეს შეუძლებელია და ასე არ ხდება. როდესაც საერთო დაკანონებული წესი არ არის განა შეიძლება არჩევნები მოხდეს წესიერად.

ჩვენ დგვგრრა ერთი მემკვიდრეობა, რაც რუსეთში შემოლებეეა და რაკ ამიერ-კავკასიაშიც გადმოვიტანეეთ. იგი ჩვენშიც ცნობილია როგორც ეაკლესეი დემოკრატიული რაბ. ჩვენშიც მიღებულია ის სისტემა. რომლითაც მოხდა არჩევნები დამფუძნებელ კრებისა. საარჩევნო სისტემის მთავარი დემოკრატიული მოთხოვნილება ის არის, რომ ამომრჩეველს ანა ეაჩეოეს საშეალება ყოველი სია ჰქონდეს თავალ წინ.

აქ იტყვიან: რა დროს ეგ არის, ანარქიაო,—მაშინ, ბატონებო, ნუ მოაგხენინთ არჩევნებს. ჩვენ აკი მოგახსენეთ, რომ არჩევნები ნორმალურ პირობაში უნდა მოხდესო, ჩვენ თუ მოწადინებული ვართ ხოლმე რეფორმა წესიერად განვახორციელოდთ—ამისათვის ყველა პარტიამ უნდა მიიტანოს სია, გასწიოს აგიტაცია. ან და მთავრობამ თვითონ უნდა მიიღოს ყველა სიები და ამომრჩეველს დაურიგოს არჩევნების წინ.

დღევანდელ პირობებში კი ყოველად შეუძლებელია არჩევნების მოხდეესა. ვინ იცის რას მოგვიტანს ასეთ პირობებში მომხდარი არჩევნები.

არჩევნების გადადება კი მგონი დიდი ბოროტება არ იქნებეა.

თ ა მ ჯ დ ო მ ა რ ე. სიტყვა ეკუთვის საბჭოს წევრს ალექსანდრე ასათიანს.

